გაიგეთ თქვენი უფლებები ციფრულ გარემოში

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებათა პატივისცემის, დაცვისა და განხორციელების შესახებ

ვერსია ბავშვებისა და 18 წლამდე მოზარდებისთვის

www.coe.int/children

ვაშენოთ ევროპა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE



ვინ და რატომ შეიმუშავა ეს სახელმძღვანელო?

ევროპის საბჭოში ერთიანდება ევროპის **46** ქვეყანა, რომლებიც ერთად მუშაობენ მშვიდობისა და ადამიანის უფლებების დასაცავად.

იგი ევროპის ქვეყნებს ეხმარება ბავშვების - **თქვენი უფლებების დაცვაში!**

ეს ასევე მოიცავს ბავშვთა უფლებებს **ციფრულ გარემოში**.

ევროპის საბჭოს სურს, უფროსებსა და ბავშვებს ესმოდეთ, რა უნდა გაკეთდეს, რომ ბავშვებმა ისარგებლონ თავიანთი უფლებებით ციფრულ გარემოში.

ბავშვთა უფლებები დაპირებებია, რომლებიც მთავრობამ მისცა ბავშვებს მათი კარგად ცხოვრებისათვის.

ციფრული გარემო გულისხმობს ყველა იმ გზას, რომლებითაც ბავშვები იყენებენ კომპიუტერებსა და ინტერნეტს: სმარტფონებსა და პლანშეტებს, კომპიუტერულ თამაშებს და სოციალურ მედიას.

რომელი მნიშვნელოვანი საკითხებია გასათვალისწინებელი ბავშვის უფლებათა დასაცავად?

ქვემოთ ჩამოთვლილი **5** საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანია. მათ პატივი უნდა სცეს ყველამ, ვინც შენ ნაცვლად ან სხვა ბავშვების მაგივრად იღებს გადაწყვეტილებას. ესენია:

1. **ბავშვის საუკეთესო ინტერესები*** – ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ გადაწყვეტილების მიღების ან რაიმე ქმედების დროს.
2. **ბავშვები ვითარდებიან დაბადებიდან 18 წლის ასაკამდე.** თინეიჯერებსა და მცირეწლოვნებს სხვადასხვა შესაძლებლობა და საჭიროება აქვთ.
3. **დაუშვებელია ბავშვთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა საფუძვლიანი მიზეზის გარეშე.**
4. **ბავშვების მოსაზრებებს უნდა უსმენდნენ და ითვალისწინებდნენ.**
5. **მთავრობებმა*** ხელი უნდა შეუწყონ და მხარი დაუჭირონ სხვა მხარეებს (მაგ: ბიზნესი, მასწავლებლები, მშობლები, ბავშვები) და ითანამშრომლონ მათთან, ბავშვთა უფლებების დასაცავად.

*„ბავშვის საუკეთესო ინტერესი“ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პირველ ადგილას უნდა იდგეს ბავშვის კეთილდღეობა.

*იგულისხმება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი მთავრობები, ასევე, მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები.

რა უფლებები უნდა იყოს დაცული და რატომ?

ყველა ბავშვს უნდა შეეძლოს ციფრული გარემოს გამოყენება.

ციფრული გარემო უნდა იყოს:

- იათვად ხელმისაწვდომი (თუ შესაძლებელია, უფასოც საზოგადოებრივ ადგილებში).
- ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სოფლად მცხოვრები და მიგრანტი ბავშვებისთვის.

ინფორმაციის მიღების უფლება

- მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ მარტივი წვდომა ბავშვისთვის სასარგებლო ინფორმაციაზე.
- ბავშვებმა უნდა ისწავლონ სხვების ჰატივისცემა ონლაინ გარემოში (მაგალითად, არ შეუწყონ ხელი ბულინგსა ან ძალადობას).
- ბიზნესებმა ისე უნდა მიაწოდონ ინფორმაცია სარგებლობის პირობებზე, რომ ბავშვებმა ადვილად მოიძიონ და გაიგონ.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება

- სკოლებმა, მთავრობებმა, ბიზნესმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა ჰკითხონ ბავშვებს აზრი და სერიოზულად მიიღონ ის.

ონლაინ გარემოში ჯგუფების შექმნისა და მათთან მიერთების უფლება

- ბავშვს არ უნდა უთვალთვალებდეს მთავრობა ან სხვა ვინმე ციფრულ გარემოში ყოფნისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ნებადართულია კანონით.

თამაშის უფლება

- მთავრობა და ბიზნესი ხელს უნდა უწყობდნენ ბავშვებს გართობაში, კრეატიულობაში, პრობლემათა გადაჭრასა და სხვა ბავშვებთან ერთად მუშაობაში.

პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება

- ყველამ უნდა იცოდეს, რომ ბავშვებს აქვთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.
- ბავშვებმა უნდა ისწავლონ, როგორ დაიცვან პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა ონლაინ გარემოში.
- ბავშვის პერსონალური მონაცემები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ბავშვის (თუ ძალიან პატარაა - მშობლის) ნებართვით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონიერია.
- ბავშვებს უნდა შეეძლოთ გაგება, თუ როგორ გამოიყენება მათი პერსონალური მონაცემები და როგორ შეიძლება ამ ინფორმაციის წაშლა, ან შეცდომების გასწორება.
- სათამაშოებსა ან ტანსაცმელში არ უნდა გამოიყენებოდეს ჭკვიანი მოწყობილობები, ბავშვებზე ინფორმაციის შესაგროვებლად.

პერსონალური მონაცემებია:
თქვენი სახელი, ასაკი, სად ცხოვრობთ და სად იმყოფებით.

განათლების უფლება

- სკოლებს უნდა ჰქონდეთ ბავშვებისთვის საჭირო ციფრული ტექნოლოგიები.
- ბავშვებმა უნდა შეიძინონ საჭირო უნარები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გოგონებისთვის, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ღარიბი ბავშვებისთვის.

შესაძლო ზიანისგან დაცვის უფლება

- უნდა არსებობდეს მექანიზმები ასაკობრივი ზღვრების გასაკონტროლებლად.
- ბავშვებსა და მშობლებს უნდა ასწავლიდნენ გზებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ბულინგის, მავნე მინაარსის მასალის, ან უცნობის მხრიდან სათვრთხის შემთხვევაში.
- ბავშვებს ადვილად უნდა შეეძლოთ შეტყობინება მავნე მინაარსისა ან სახიფათო ქცევის შესახებ.
- უნდა შეჩერდეს ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის გავრცელება ინტერნეტით.

ზიანში იგულისხმება:

ბულინგი; ბავშვების წაქეზება დანაშაულებრივი ქმედებებისკენ; სექსიზმის, რასიზმის, სუიციდისა ან თვითდაზიანების წახალისება; აზარტულ თამაშებში ჩართვა; სექსუალური ძალადობა; კომპიუტერების, პლანშეტებისა ან სმარტფონების გამოყენება ისეთი ინტენსივობით, რომელიც ზიანს აყენებს ჯანმრთელობას, ან იწვევს ძილის დარღვევებს.

რა უნდა გააკეთონ მთავრობებმა და სხვა მხარეებმა, რომ ბავშვებმა ისარგებლონ თავიანთი უფლებებით ციფრულ გარემოში?

- **შეიმუშაონ კანონები და პოლიტიკა,** რომლებიც იცავს ბავშვთა უფლებებს ციფრულ გარემოში.
- უზრუნველყონ, რომ **ყველა მხარე ერთობლივად მუშაობდეს.**
- იზრუნონ ყველა იმ პირის **ინფორმირებასა და წახალისებაზე**, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ, რათა მათ უკეთ გაიგონ ბავშვის უფლებები და ხელი შეუწყონ ამ უფლებებით სარგებლობას ციფრულ გარემოში.
- დარწმუნდნენ, რომ ყველა ბავშვს აქვს წვდომა ციფრულ გარემოზე.
- ჩაატარონ **კვლევები**, თუ როგორ შეუძლიათ ბავშვებს სარგებლის მიღება ციფრული გარემოსგან და, ამავდროულად, დაცულად ყოფნა ამ გარემოში არსებული საფრთხეებისგან.
- **საჩივრები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები***

  მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებსა და მშობლებს, უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, შეეძლოთ საჩივრის წარდგენა ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი გზებით.

ევროპის საბჭო, მაისი, 2020

გარეკანი და ილუსტრაცია: ენდი მეთიუ, “The Port Creative”, ედინბურგი, დიდი ბრიტანეთი.

ყველა მოთხოვნა ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუქციასა ან თარგმნაზე უნდა წარედგინოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing @coe.int).

სამართლებრივი დაცვის საშუალებები მოიცავს შემდეგ ზომებს:

ბოდიშის მოხდა, საზიანო შინაარსის ამოღება, საჩივრის წარდგენა, არასწორი ინფორმაციის შესწორება.

გამოცემა მოიცავს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნებისთვის გაცემული CM/Rec(2018)7 რეკომენდაციის ბავშვზე მორგებულ ვერსიას. ეს რეკომენდაცია მიემართება სახელმძღვანელო პრინციპებს ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებათა პატივისცემის, დაცვისა და განხორციელების შესახებ.

გამოცემა ითარგმნა ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში - „დავასრულოთ ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა ევროპაში“ (EndOCSEA@Europe), ძალადობასთან ბრძოლის ფონდის (End Violence Fund) ფინანსური მხარდაჭერით.

აღმოაჩინეთ სახელმძღვანელო პრინციპები და იცოდეთ თქვენი უფლებები ციფრულ გარემოში

მეტის გასაგებად ევროპის საბჭოს საქმიანობაზე ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, იხილეთ:
www.coe.int/children

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ პროფესორ ლაურა ლანდისა და დოქტორ მიშელ ტემპლტონს ბელფასტის სამეფო უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი) იმ დახმარებისთვის, რომელიც გაგვიწიეს ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპების ბავშვზე მორგებული ვერსიის მომზადებაში; ასევე მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს
და მიას, ლიზას, სანდროსა და მარიამს ქართული ვერსიის მომზადებისათვის.

QUEEN'S UNIVERSITY BELFAST

CENTRE FOR CHILDREN'S RIGHTS

KAT

ევროპის საბჭო ევროპული ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 46 წევრ ქვეყანას და დაფუძნებულია სტრასბურგში, საფრანგეთში. მისი შეიქმნის მიზანია, ყველა ამ ქვეყანამ დაიცვას ადამიანის უფლებები, ბავშვის უფლებების ჩათვლით. ამ მიზნით, აღიკვეთება ნებისმიერი ტიპის ძალადობა და ბავშვებს აქვთ მხარდაჭერა თავიანთი პოტენციალის სრულად განვითარებისათვის.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE